სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

15 მაისი 2025

N 238/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მესტიაჭალას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მესტიაჭალას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მესტიაჭალას მარჯვენა და მარცხენა ნაპირებზე (GPS კოორდინატები: I უბანი – X-0315426, Y-4768254; X-0315946, Y-4768609; X-0315404; Y-4768275; X-0316836, Y-4770211; II უბანი – X-0316934 Y-4770122; X-0316935 Y-4770271; X-0316870 Y-4770199; X-0316787 Y-4770334; III უბანი – X-0316439 Y-4772101; X-0316204 Y-4772474), სადაც განვითარებულია მდინარის ეროზიული პროცესები. აღნიშნულ უბნებზე მიმდინარე ეროზიული პროცესების შესაკავებლად, დაზიანებული მონაკვეთების აღსადგენად, ასევე, მდ. მესტიაჭალას ადიდების შემთხვევაში, მიმდებარე ტერიტორიის დატბორვისგან და სანაპირო ზოლის ინტენსიური წარეცხვისგან დასაცავად, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაგეგმილია ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა. საპროექტო ნაპირდამცავი ნაგებობები წარმოდგენილი იქნება 3 ძირითად სექციად. №1 სექცია განთავსდება მესტიის ხიდიდან მდ. მესტიაჭალას ზედა დინების მიმართულებით, მარცხენა სანაპიროს დაახლოებით 667 მეტრი სიგრძის და მარჯვენა სანაპიროს დაახლოებით 2 521 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე. №2 სექცია განთავსდება აეროპორტის ხიდიდან მდ. მესტიაჭალას ზედა დინების მიმართულებით, მარცხენა სანაპიროს დაახლოებით 60 მეტრი სიგრძის და მარჯვენა სანაპიროს დაახლოებით 150 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე. №3 სექცია განთავსდება აეროპორტის ხიდიდან მდ. მესტიაჭალას ზედა დინების მიმართულებით, მარჯვენა სანაპიროს დაახლოებით 462 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე. ნაპირსამაგრი ნაგებობები წარმოდგენილი იქნება შემდგი ტიპის კონსტრუქციებით: ფლეთილი ლოდები ხრეშის საძირკვლით/საგებით; ორმაგი ფენის ფლეთილი ლოდები ხრეშის საძირკვლით/საგებით; ბეტონის კედელში მოქცეული ფლეთილი ლოდები; ქვანაყარი დეზები და დინების სიჩქარის შემამცირებელი (ფსკერის მორეცხვის დამცავი) ჯებირები. საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 20 მეტრით. საპროექტო ტერიტორია ექცევა დაბა მესტიის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში. ამასთან, მონაცემთა გადამოწმებით, საპროექტო ტერიტორია კვეთს ოქრო-პოლიმეტალების გამოვლინებას და მესტიისჭალის ქვიშა-ხრეშის საბადოს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა გათვალისწინებული არ არის. მშენებლობისათვის საჭირო მასალა სამშენებლო მოედანზე შევა მზა სახით, რეგიონში მოქმედი კარიერებიდან. ნაპირსამაგრი სამუშაოები გაგრძელდება დაახლოებით 7-8 თვის განმავლობაში და შესრულდება 2 ბულდოზერის, 2 ავტოამწის, 2 ბორტიანი მანქანის, 3 ექსკავატორის, 3 ბეტონმზიდისა და 7 ავტოთვითმცლელის გამოყენებით.

დოკუმენტში წარმოდგენილია მდ. მესტიაჭალას ჰიდროლოგიური მახასიათებლების შესახებ ინფორმაცია. საპროექტო ნაპირსამაგრი ნაგებობები გაანგარიშებულია მდ. მესტიაჭალას ჰიდროლოგიური რეჟიმის გათვალისწინებით. მდ. მესტიაჭალას წყალშემკრები აუზის ფართობი, საპროექტო კვეთში, შეადგენს 95,77 კმ^2-ს, ხოლო 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი პირველი სექციისთვის – 420,70 მ^3/წმ-ს, მეორე სექციისთვის – 407,001 მ^3/წმ-ს და მესამე სექციისთვის – 354,84 მ^3/წმ-ს. კალაპოტის ზოგადი გარეცხვის მაქსიმალური სიღრმე პირველი სექციის მარცხენა სანაპიროსთვის შეადგენს 3,87 მ-ს, პირველი სექციის მარჯვენა სანაპიროსთვის – 5,71 მ-ს, მეორე სექციის მარცხენა და მარჯვენა სანაპიროსთვის – 4,50 მ-ს, ხოლო მესამე სექციის მარჯვენა სანაპიროსთვის – 4,35 მ-ს.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე საპროექტო ტერიტორიაზე ემისიებისა და ხმაურის სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების და ხმაურის გავრცელების ძირითადი წყარო იქნება სატრანსპორტო საშუალებები და სამშენებლო ტექნიკა, რომლებიც იმუშავებს მონაცვლეობით. მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შემცირების მიზნით, გატარდება შემდეგი ღონისძიებები: სატრანსპორტო საშუალებებისა და სამშენებლო ტექნიკის გამართულობის უზრუნველყოფა; მოძრაობის სიჩქარეებისა და ძრავების უქმ რეჟიმში ექსპლუატაციის შეზღუდვა; სამშენებლო მასალის ჩატვირთვა-გადმოტვირთვის სიმაღლეების შეზღუდვა და სხვა. ამასთან, სამშენებლო სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში მდ. მესტიაჭალას და გრუნტის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება მიწის სამუშაოების შედეგად წყლის სიმღვრივის მატებას და ასევე, გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორიცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედანზე დაწესდება კონტროლი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების ეტაპზე მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება შესაბამის კონტეინერებში და გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე. სახიფათო ნარჩენები, წარმოქმნის შემთხვევაში, შეგროვდება სეპარირებულად და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი

ნუსხის“ სახეობები, ხოლო სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საპროექტო ტერიტორია მოქცეულია დაბა მესტიის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება ძეგლების დამცავ ზონაში ვიზუალური გარემოს ცვლილებას არ გამოიწვევს.

ვინაიდან, მონაცემთა გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორია კვეთს ოქრო-პოლიმეტალების გამოვლინებას და მესტიისჭალის ქვიშა-ხრეშის საბადოს, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სკრინინგის განცხადება განსახილველად გადაეგზავნა სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს“. საპასუხო კორესპონდენციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის საბადოსთან თანაკვეთის ფართობზე (5 965 $მ^2$) ქვიშა-ხრეშის მარაგი შეადგენს 17 895 $მ^3$-ს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე. ამასთან, ამავე კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს, რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით. შესაბამისად, ქვიშა-ხრეშის საბადოს ტერიტორიის განაშენიანების სანაცვლოდ, გადახდილი უნდა იქნეს „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საკომპენსაციო თანხა. რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიის ოქრო-პოლიმეტალების გამოვლინებასთან თანაკვეთას, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, სსიპ „მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო“ არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს წარმოდგენილი ტერიტორიის განკარგვა, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ტერიტორიაზე შემდგომში არ შეიზღუდება სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესაძლებლობა.

სკრინინგის განცხადებაში შეფასებულია დაგეგმილი ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და განსაზღვრულია შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური დატვირთვით სახეცვლილია და არ გამოირჩევა ფლორისტული და ფაუნისტური მრავალფეროვნებით. ამასთან, დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოები ხე-მცენარეული საფარის ჭრას არ ითვალისწინებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელებით ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

მდ. მესტიაჭალას ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რომლის ძირითადი ამოცანაა ეროზირებული პროცესების შეკავება, დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა, ასევე, მდ. მესტიაჭალას ადიდების შემთხვევაში, მიმდებარე ტერიტორიის დატბორვისგან და სანაპირო ზოლის ინტენსიური წარეცხვისგან დაცვა. დაგეგმილი ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელება, პროექტით განსაზღვრული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების

გათვალისწინებით, არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. მესტიაჭალას ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/238-21-4-202505151342

ელექტრონული ხელმოწერა/QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE